ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 121
ივნისს 12, ოთხშაბათი, 1902 წ.
1877

# ივერია

№ 121
ივნისს 12, ოთხშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

## „ივერია“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ წლის შემოდგომა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წ.-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში:**—შეიძინეშვილის წიგნის მაღაზიაში და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.

**ხარკოვში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., კალანტაროს ქარვასლის პირდაპირ).

**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ფოთში:**—ზარინე ნასიძესთან.

ცალკე ნომერი, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** შეიძინეშვილის წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## გაზეთი „ივერია“

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

**გადადის საკუთრებაში „ივერიის“ ამხანაგობის ხელში.**

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაჩნაძე, ნიკოლოზ ივანეს-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, დოლიძე, ნიკოლოზ მეუნარგიის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სემიონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დადიანი, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

**კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თვისის შვილის პოლკოვნიკის თავადის

**გიორგი ლევანის ძის მელიქიშვილისას**

10 ივნისს საღამოს 10 საათზედ. პანაშვიდები გარდახდილ იქმნება ყოველ დღე ნაშუადღევის 1 საათზედ და საღამოს 8 საათზედ გარდაცვალებულის სადგომში, რტიშჩევის ქუჩა, სახლი თავადის ბებუთაშვილისა, № 6.

გასვენება მიცვალებულისა დიდუბის ეკკლესიაში დანიშნულია პარასკევს, 14 ივნისს, დილის 9 საათზედ. (3—358—1)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

**სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები**

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი. (6—8)

**ქართველ ქალთა ამხანაგობა**

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

ექიმი ალექსანდრე გიორგის ძე **მალალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე-და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**გ. გ. მალალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილ·ის 12—1 საათამდის.

**ა. გ. მალალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**გ. გ. მალალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: ფილტვისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ჯ. ი. ბაბანასოვი** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა

**საღამოობით:**

**კ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შაპკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**ბ. ა. თარხანოვი.** 7—$7^1/_2$ საათ, ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.** (წლ.)

## ტფილისი

✦ როგორც „კავკაზს“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან დეპეშით 5 ივნისს მათ იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს გამოეცხადა კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი.

✦ პროფ. ბ-ნი ვ. პეტრიაშვილი და ბ-ნი ბარაკოვი დილის 7 საათზე 10 ამ თვეს სტუდენტების თანხლებით ბოტანიკურ ბაღში ბრძანდებოდნენ დასათვალიერებლად. ბ. როლოვი, გამგე ბაღისა, დაწვრილებით უხსნიდ ექსკურსანტებს კავკასიის ფლორას (მცენარეულობას). შემდეგ აჩვენა მათ სანერგე, რომელიც ახლად შეძენილ მამულზეა გაშენებული; შემდეგ ბ-ნმა როლოვმა საუზმეზედ მიიწვია სტუმრები; $12^1/_2$ საათზე მადლობით გამოემშვიდობნენ ბ-ნ გამგეს და მუშტაიდის სააბრეშუმო სადგურისკენ გასწიეს, სადაც მათ ელოდა სადგურის გამგე ბ-ნი შავროვი; ექსკურსანტებმა დაკვირვებით გასინჯეს ყოველი ნახული, რომელსაც სპეციალისტი უხსნიდა მათ. იქიდგან წაბრძანდნენ საუფლისწულო მამულის სარდაფის დასათვალიერებლად, სადაც მათ, მიეგება ბ-ნი გოგოლ-იანოვსკი. გუშინ ყარაიაზისაკენ გაემგზავრნენ სარწყავ არხების დასათვალიერებლად, საიდგანაც იმ საღამოსვე დაბრუნდებიან და ხუთშაბათს წინანდალში გაემგზავრებიან საუფლისწულო მამულების დასათვალიერებლად.

✦ სიღნაღის მაზრის სოფ. მაჩხაანის სასოფლო სამკურნალოს გამგეთ დანიშნულ იქმნა ექიმი თ. ფავლენიშვილი, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება მაჩხაანს („ცნ. ფ.“).

✦ ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის მნათეს ბ-ნ ვ. პეტროპავლოვსკის თავი დაუნებებია თავის ნებით მნათის თანამდებობისათვის; მის ადგილზედ ასახელებენ ბ-ნ ლ. ს. სტალინსკის, რომელიც იყო ტფილისის პალატის წევრად.

✦ ამას წინად შუა-მთის მონასტერი, ალავერდის ტაძარი და აწყურის წმინდა გიორგის ეკკლესია, „თეთრ-გიორგად“ წოდებული, ერთს საწინამძღვროს შეადგენდა; მას წინა-

## ფელეტონი

### საქართველო მე-XII საუკუნეში

შესავალი

#### I

**საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. მისი საზღვრები. ქართველები და მათი მეზობლები.**

მეთორმეტე საუკუნეში საქართველომ მიაწია უმაღლესს წერტილს თავის ძლიერებისას და დაიკავა იმოდენა არე-მარე, რამოდენიც არა სჭერია სხვა დროს. მთელი ეს ხანი წარმოადგენს დიდებულს ძლევა-მოსილს ბრძოლას მოსაზღვრე მუსულმან სახელმწიფოებთან. ქართველები არამც თუ იცავდნენ თავის თავს მტერთაგან, პირ-იქით თითონვე ესხმოდნენ თავს მტრებსა, ძლევა-მოსილნი შედიოდნენ მათ ქვეყნებში და იპყრობდნენ იმისთანა ადგილებს, რომელნიც მტერთა სამკვიდრო საკუთრებას შეადგენდნენ.

ამ საუკუნის საქართველოს სამეფოს წრეში შედიოდა მთელი ქართველთა სამკვიდრო ტერიტორია, ე. ი. ბასეინები მტკვრისა მის მარჯვენა და მარცხენა ჩასართავებით ეკლეცამდე და ალაზნამდე, ჭოროხისა, რიონისა და ენგურისა. ქართველთა სამკვიდრებელის მიწაწყლის გარეშე საქართველოს ეკუთნოდა კიდევ აფხაზეთი და სასომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი ქალაქ ანითურთ. ამას გარდა საქართველოს მეფისგან დამოკიდებულნი იყვნენ ჩრდილოეთით ოსეთი და აღმოსავლეთით შირვანი (მტკვრის მარცხნივ) და რანი (მტკვრის მარჯვნივ). ასე რომ პოლიტიკური გავლენა და უფლება საქართველოსი ამ საუკუნეში განისაზღვრებოდა—აღმოსავლეთით თეთრის (კასპის) ზღვით, ჩრდილოეთით კავკასიის მთაგრეხილით, დასავლეთით შავის ზღვით და სამხრეთით რახსით (არეზით) და მტკვრისა და ჭოროხის სათავეებით.

ამნაირად მეთორმეტე საუკუნის საქართველოში თავმოყრილნი იყვნენ ყველა ქართველთა ტომნი, ერთის ენით მოსაუბრენი, ერთის სარწმუნოებით შეკავშირებულნი და ერთის ინტერესით გამსჭვალულნი. ქართველებთან ერთად იყვნენ აგრეთვე აფხაზები, რომელნიც, იმის მიუხედავად, რომ ჩამომავლობა და ენა ერთი არა ჰქონდათ, ქართველებთან დიდის ხნის ისტორიულად ერთად ცხოვრებამ მჭიდროდ დაუკავშირა ქართველობას. დანარჩენი უცხო ელემენტები—ოსები, სომხები და მუსულმანები, თუმცა-კი პოლიტიკურად დაკავშირებულნი, სამწუხაროდ, არ იყვნენ შეთვისებულნი და შეხორცებულნი ქართველობასთან. ეს მოხერხდებოდა მხოლოდ დიდის ხნით მჭიდრო ცხოვრებით და ერთნაირის კულტურის გავრცელებით. სომხები და შირვანის და რანის მუსულმანობა ახლად ამ საუკუნეში იყვნენ დაკავშირებულნი პოლიტიკურად საქართველოსთან და, მაშასადამე, ისტორიულს ხნოვანობას ვერ შეეძლო მათი ქართველებთან შეთვისება; ამას გარდა, ისინი ენით და სარწმუნოებით ძრიელ განსხვავებულნი იყვნენ ქართველთაგან, რაიცა აგრეთვე ხელს უშლიდა ქართველებთან შეთვისებას. რაიცა შეეხება ოსებს, თუმცა ისინი უფრო ადვილი შესათვისებელნი იყვნენ, რადგან მათი პოლიტიკური კავშირი საქრთველოსთან ახალი არ იყო, მაგრამ მათი გეოგრაფიული მდებარეობა და ველური კულტურა მუდამ აფერხებდა მათ შეთვისებას ქართველებთან. ამ მიზეზებთან ერთად, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქართველები თავის დღეში არ ცდილან განგებ, მოხერხებით და მით უფრო ძალ-დატანებით რომლისამე დამორჩილებულის ერის გაქართველებას ან თავიანთ სარწმუნოებაზე მოქცევას, ადვილად გასაგები ხდება, თუ რატომ მეთორმეტე საუკუნეში არ შეეხორცნენ და არ შეეთვისნენ უცხო ელემენტნი ქართველებს. ამ გარემოებითვე აიხსნება, რომ მთელი მეთორმეტე საუკუნის ისტორიის ტვირთის მზიდველი და ჭაპანის მწეველი იყო ქართველობა, ხოლო სხვა უცხო ელემენტები მხოლოდ სარგებლობდნენ ქართველების შრომით და სისხლით.

ქართველთა მოსაზღვრე ხალხნი ამ საუკუნეში იყვნენ ბერძნები, სპარსები, თურქები, რომელთაც დააარსეს რამდენიმე წვრილი სამფლობელო სასომხეთისა და ბიზანტიის ნატამალზე, და მთიელები. ბერძნების გარდა, რომელთაც თავიანთ სისუსტის გამო ამ საუკუნეში არ შეეძლოთ არც მტრობა და არც მოყვრობა ქართველებისა, და კავკასიის მთიელთა გარდა, რომელნიც ქართველებს მათ ძლიერებისა გამო მტრობას ვერ გაუბედავდნენ, ყველა მოსაზღვრეები ქართველთა წინაამდეგნი იყვნენ, ცდილობდნენ საქართველოს დამხობას და მშვიდობიანობას იცავდნენ მხოლოდ იძულებით.

#### II

**საქართველოს სოციალი წეს-წყობილება.**

საქართველოს სოციალი წეს-წყობილება მეთორმეტე საუკუნეში წარმოგვიდგენს შემდეგს სურათს. მთელის ერის თავში იდგა და ქვეყნის პატრონი იყო მეფე, რომელიც მართავდა სამეფოს. მას მოსდევდნენ დიდებულები, რომელნიც მეფის შემდეგ უწარჩინებულესნი პირნი იყვნენ ქვეყანაში, მეფესთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას სამეფოს საქმეთა მართვაში, მასთან ერთად ზრუნავდნენ ქვეყნის სიკეთისათვის და ასრულებდნენ უმაღლესის ხელისუფლების და ერისთავების თანამდებობას. დიდებულთ მოსდევენ აზნაურები, რომელნიც, მართალია, პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ სამეფოს მართვაში, მაგრამ დიდს სამსახურს უწევენ თავიანთ პირადის შრომით და სისხლით. ისინი შეადგენდნენ ცხენოსანს ჯარს, მეციხოვნობას სწევდნენ დაპყრობილს ციხე-ქალაქებში და ასრულებდნენ დაბალს ხელისუფლობას.

აზნაურებს მოსდევენ გლეხები. ესენი იყვნენ მიწის შემმუშავებლები და ყოველნაირის ხარჯისა და ბეგარის გადამხდელნი და თან მეომარნიც, როდესაც სამშობლო გაჭირვებაში ჩავარდებოდა, ანუ საჭირო იქნებოდა სამშობლოს დიდებისათვის გალაშქრება.

ეს სამი წოდება—დიდებულთა, აზნაურთა და გლეხთა, თუმცა მემკვიდრეობითი იყო, მაინც ერთიდგან მეორეში გადასვლა ხშირად ხდებოდა. გლეხი აზნაურდებოდა და აზნაური დიდებულდებოდა რაიმე ღვაწლისათვის. აგრეთვე დიდებული უბრალო აზნაურის ხარისხზე იქვეითებდა და აზნაური გლეხად იქცეოდა რაიმე დანაშაულის გამო.

ამ სამს წოდებასთან სამეფოში იყო კიდევ მეოთხე წოდება—სასულიერო, რომელიც თითქო ცალკე სამეფოს წარმოადგენდა ისეთისავე იერარქიით, როგორიც იყო საერო უწყებაში. უმაღლესი მეფის მზგავსი ადგილი ეკავა კათოლიკოზს, დიდებულებისა მთავარ-ეპისკოპოზებს და ეპისკოპოზებს, მათ შემდეგ აზნაურის მზგავსი ადგილი ეჭირათ მონასტრის წინამძღვრებს და ქორეპისკოპოზებს, ხოლო სულ დაბალი ადგილი ეკავათ ხუცესებს, მღვდლებს და დიაკვნებს და აგრეთვე უბრალო ბერებს.

იყო კიდევ ერთი მცირე-რიცხვოვანი წოდება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა საქართველოში. ესენი იყვნენ მოქალაქენი, შემდგარნი ორის წყებისაგან: მდიდარის ვაჭრებისაგან და მეწვრილმანე-ხელოსანთაგან.

მეფე ითვლებოდა სამეფოს პატრონად და მთელი მიწა-წყალი მის საკუთრებად. ამ მიწას ამუშავებდნენ გლეხები და მეფეს სამაგიეროდ უხდიდნენ ხარჯს და ბეგარას. მეფისგან აზნაურებს ჰქონდათ მიცემული სასარგებლოდ და სარჩოდ მამული იმ გლეხებით, რომელნიც ამ მამულზე სცხოვრებდნენ. მამულის მფლობელობასთან ერთად მეფისგან დათმობილი ჰქონდათ აზნაურებს მომეტებული ნაწილი გლეხის სამსახურისა. დიდებულებსაც აგრეთვე ჰქონდათ მიცემული მეფისგანვე დიდი მამული მასზედ მცხოვრებ გლეხებით და აზნაურებით, რომელნიც მეფის

მძღვრობდა მეორე ვიკარი საქართველოს ექსარხოსისა, ბოლოს მის წინამძღვრად იყო პირველი ვიკარი კირიონი, ეპისკოპოსი გორისა. ამ ჟამად-კი შუა-მთის წინამძღვრად დანიშნულია ეპისკოპოსი ბენიამინი, პირველი ვიკარი საექსარხოსოსი; ხოლო ალავერდის ტაძარი და აწყურის ეკკლესია მიაწერეს ფერისცვალების (დარიის) მონასტერსა, რომელთა წინამძღვრად დაინიშნა ეპისკოპოსი ალავერდისა დიმიტრი.

✦ ქუთაისიდგან დეპეშით აცნობინებენ „ცნ. ფ.“, რომ 9 ივნისს მოხდა ხმოსნების არჩევნები. ბევრი ახალი ხმოსანია არჩეული. სულ აირჩიეს 58 ხმოსანი; აკლია კიდევ ორი ხმოსანი და კანდიდატი.

✦ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია, ამ მიმდინარე წელს შეადგინოს სამი ჯგუფი მოხელეთა, რომელთაგან ერთი გაიგზავნება ერევნის გუბერნიაში, მეორე—განჯისაში და მესამე ტფილისისაში სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ წინადადება მისცა ქალაქის ბეითალს ვარშამოვს, თავის თანამდებობანი ქალაქის სხვა ბეითალს გარდასცეს („ცნ. ფ.“).

✦ წელს ადესის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სამმა ქართველმა დაამთავრა სწავლა პირველი ხარისხის დიპლომით: სეით ლუარსაბის ძე იაშვილმა, იასონ პავლეს ძე მოსეშვილმა და ივანე ილარიონის ძე ჯაფარიძემ.

✦ როგორც საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის უფროსი იტყობინება, დროებით საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულება უკვე გაუხსნიათ კოჯორში.

✦ ერთმა ტფილისის ბოქაულთაგანმა მიჰმართა ტფილისის პოლიცმეისტერს იმის გამოსარკვევად, პოლიციამ უნდა შეადგინოს ხოლმე, თუ არა, ოქმი და გაგზავნოს რომელსამე სასამართლოში მეეზოვის შეურაცხყოფისათვის იმ დროს, როდესაც ისინი საყარაულოდ არიან გამოსულნი, თუ მეეზოვემ თავად უნდა მიმართოს სასამართლოს, როგორც კერძო პირმა. ტფილისის პოლიცმეისტერმა განუმარტა ბოქაულებს, რომ თუ მეეზოვეებს მიაყენოს ვინმემ შეურაცხყოფა იმ დროს, როდესაც ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, პოლიციამ უნდა შეადგინოს ოქმი და უნდა გაგზავნოს სასამართლოში, რადგან ამ შემთხვევაში მეეზოვე პოლიციის ქალაქის დარაჯის მოვალეობას ასრულებსო („Кавк“.).

✦ ქალაქის საბჭოს იმ დადგენილების თანახმად, რომელიც ქალაქის თავის მოადგილის არჩევას შეეხება, ქალაქის გამგეობამ საჩივარი შეიტანა უმართებულეს სენატში ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციაზე. როგორც მოხსენებული გვქონდა ამას წინად, ქალაქის თავის მოადგილედ დასახელებული იყო ორი წევრი გამგეობისა—თ. ჩერქეზიშვილი და ბ. შესტაკოვი, რომელთაგან ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა თ. ჩერქეზიშვილი, მაგრამ საგუბერნიო ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა იგი ამ თანამდებობაზე („ცნ. ფ.“).

✦ კავკასიის მსროლელი რაზმები კავკასიის 1-ის მსროლელ ბრიგადისა და კავკასიის საპერის ბატალიონები წავიდნენ საზაფხულოთ თიონეთში („Кавк.“).

✦ 8 ივნისს, დილის 5 საათზე, პუშკინის ქუჩაზედ ივ. მჭედლოვის დუქანში ტფილისის მოქალაქემ ივანე ტრუტნევმა სიმთვრალეში თავი დაიჭრა ჯიბის დანით მკერდში. ტრუტნევი გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში („Кавк.“).

მოგვივიდა VI ნომერი ჟურნალის „ჯეჯილისა“ შემდეგის შინაარსით:

I პატარა მათხოვარი, ლექსი აკაკისა, II ტიკი, ქვევრი და ღვინო (იგავი) ალ. მირიანაშვილისა, III მესამე ოქრო (ზღაპარი ლაკედისა) თარგმანი ნინოსი, IV კატა და მისი ორ-ფეხა მეგობრები (თარგმანი)... V საწყალი კაცი, ოსური არაკი,—ქართველი ოსებში, VI ჭიქა და ფინჯანი ბეს. ვაშაძისა, VII მელიას თავგადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება) ალ. ნათაძისა, VIII პატარა დედოფალი (თარგმანი) ს. ციციშვილისა, IX ყმაწვილების აღსარება, ლექსი დ. თომაშვილისა, X ჟანნა დ'არკი (დასასრული) ან. წერეთლისა, XI ვინ იყო უდიდებულესი საქართველოს მეფე ქალი და რითი იყო ის დიდებული, დიონოზ აბრამიშვილისა და წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანა, უჯრების ამოცანა და რებუსი.

## ალაგობრივის ცხოვრების ამბები

გორიდგან იტყობინებიან, რომ ერთი იმ ავაზაკთაგანი, რომლებიც 31 მაისს მარტყოფის მონასტერს დაეცნენ საღამოს ჟამზედ და გაძარცვეს იგი, პოლიციის მოხელეთ უკვე დაუპატიმრებიათ გორის მაზრაში.

—

საქარიდგან (შორაპნის მაზ.) გვწერენ: 7 ივნისს, შუადღის 4 საათზე, მეხი დაეცა საძოვარზე მყოფ გოგია ფერაძის ხარს. მეხმა დაარტყა და გული შეუღონა თვითონ გოგიას და მახლობლად მსხდომ ბავშვებს. ერთის საათის შემდეგ შემთხვევით გაუვლია მეზობელს, რომელსაც უნახავს უსულო გვამები და ყვირილი მოურთავს. ბავშვები ადრე მოუსულიერებიათ. თვით გოგია თხრილში უნახავთ, მთლად გაშავებული. იმ წამსვე ადგილობრივ მკურნალისთვის მიუმართავთ, რომელსაც დაურიგებია, მიწაში ჩაჰფალით ყელამდეო. დარიგება ასრულებულ იქმნა, მაგრამ მორჩენის იმედი დაკარგული აქვთ, თუმცა დღეს გოგიას სიცოცხლის ნიშან-წყალი კიდევ ეტყობა („ცნ. ფ.“).

—

**ფოთი.** ივნისის ხუთს ქ. ფოთში ჩამობრძანდა ყოვლად სამღვდელო გრიგოლი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი, და ჩამოხტა სასტუმრო „კოლხიდაში“; ყველა სიხარულით მიეგება მათს მეუფებას; ფოთის სხვადა-სხვა დაწესებულების წარმომადგენლებმა და სამღვდელოებამ ინახულეს იგი. შვიდს ივნისს ბ-ნ ნ. ნიკოლაძის განკარგულებით მათი მეუფება სადილად იყო მიწვეული აქაურის კლუბის დარბაზში, მაგრამ ექიმმა ნება არ მისცა, რადგანაც ხანგრძლივის ავადმყოფობისა გამო იგი ძალიან დასუსტებულია. იგი ფოთიდამ დაბრუნდება სახლში, ს. ნოსირში და იქიდამ დ. მარტვილში, მონასტერში, რომელიც მას საცხოვრებლად აქვს დანიშნული.

—

**იქიდამვე:** ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი ამ ჟამად იმყოფება დ. ქობულეთში (ჩურუქ-სუ), სადაც რამდენსამე დღეს დარჩება ზღვაში საბანაოდ.

ფოთის ქალაქის თავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ამ დღეებში აპირებს წასვლას საზღვარ-გარედ საექიმოდ. როგორც მკითხველმა უწყის, ნიკოლაძე ამ ზამთარს ავად იყო ქარებითა.

—

**ყვარელი.** უწინ ყვარელში უმზგავსი ქურდობა იშვიათად ხდებოდა ხოლმე. ეხლა-კი ძრიელ დახელოვნდნენ აქაური ვიღაცა ბოროტ-მოქმედნი, ასე რომ იქნება ბევრგან არ მოიპოვებოდეს ამ გვარი. ძრიელ გახშირდა ცხენების ქურდობა და ხმირად სახლებსაც სტეხენ.

წარსულის მაისის 18 მოხდა შესანიშნავი ქურდობა დღისით: ერთს აქაურს მოვაჭრეს ბაზაზს, მოვაჭრეების უსტაბაშს, ჰქონდა ამქრის კრება ანუ სამღვთო სამის დღის განმავლობაში. ორს დღეს, მადლობა ღმერთს, არა მომხდარა-რა, მესამე დღეს-კი ძრიელ ჩაუშხამეს ქეიფი. ვიდრე უსტაბაში დუქანს დაჰკეტავდა და სადილზედ წავიდოდა, დუქანში თურმე დამალულან ვიღაც ბოროტმოქმედნი და როდესაც მარტო დარჩენილან, რაც ფული მოუნახავთ, ესე 1000 მანეთამდის, უკითით გაუტანიათ სხვა კარებიდგან, რომელიც ეზოფილა მიგნიდგან ჩაკეტილი. უკით გაუტანიათ, ფული წაუღიათ და ბარათები ბაღჩაში დაუყრიათ.

თუმცა საზოგადოებამ ამოირჩია ქურდობის მოსასპობლად ღამის ყარაულები, რომელთაც ეძლევა საკმაოდ ჯამაგირი, მაგრამ ხარჯის მეტი არა გამოვიდა-რა, ღამე და დღე არ გაივლის ისე, რომ არა დაიკარგოს-რა.

—

**ოზურგეთი.** სამი-ოთხი დღეა, რაც ჰარკი შემოაქვთ სოფლებიდგან. ფასი ათი მანეთიდგან დაიწყო. დღეს 12 მანეთი მისცა ამხანაგობამ. კერძო ვაჭარნი საკმაოდ არიან და 50 კ. მეტს აძლევენ, მაგრამ უმეტესობას მაინც ამხანაგობასთან მოაქვს. ის ათი მაურისს წონაში მომპარავს, თვარა მეტს რეიზა მომცემს,—გაიძახიან მეპარეშმე ქალები. ეს ასეც არის. ამხანაგობას ყველა სიმპატიით ეპყრობა, ყველა ვაჭარი და კერძო კაცი მხარს უჭერენ, ეხმარებიან, ასე რომ ჩვენის საწყალის „შუამავალის“ სახელი მგონი არ გაქრეს. მაშ დავეხმაროთ ყველა ამ ჩვენის ღარიბის ხალხის იმედს, შევუწყოთ ხელი და გამოვაბრუნოთ. ფული ვაჭრების დახმარებით ამხანაგობამ ბევრი იშოვა. მაშ გაუმარჯოს თანაგრძნობას და ერთობას! შორს ყალბი ანგარიშები და მათი შემდგენლები!..

სიმონი.

—

## არქიმანდრიტი გიორგი

### წევრი ცხვილის სასინოდო კანტორისა

(წერილი ახალ-სენაკიდან)

ამას წინად აქაურებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს არქიმანდრიტს მ. გიორგის (ალადაშვილი, დავით გიორგის-ძე), რომელიც მთავრობისაგან გადაყვანილ იქმნა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად და სასინოდო კანტორის წევრად.

აქაური საზოგადოება ძალიან ხშირად უმართავს აქედგან სხვაგან გადაყვანილ სამსახურის კაცებს სადილს, მაგრამ არქიმანდრიტ გიორგის საქმე სულ სხვაა. მას, სხვებთან შედარებით, ბევრად მეტი ყურადღება ჰქონდა დამსახურებული, როგორც ახალ-სენაკში, აგრეთვე მთელს სამეგრელოში, თავისის მტკიცე, შეურყეველისა და პატიოსანის ხასიათით. ამიტომაც მის აქედგან გადაყვანას, არამც თუ ახალ-სენაკი, არამედ მთელი სამეგრელო და განსაკუთრებით-კი ისინი, ვინც, ცოტად თუ ბევრად, დაახლოვებული იყო სასულიერო სასწავლებელთან, დიდად სწუხან. ჯერ კიდევ ერთბაში, არ იყო ისეთი რაიმე კეთილი საქმე სენაკში, რომლისათვის მას ერთგულად მხარი არ დაეჭიროს და, შეძლების დაგვარად, არ დახმარებოდეს. იგი დიდს ხანს იყო აქაურის „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის“ თავმჯდომარედ, რომლის წარმატებისათვის მცირე შრომა არ მიუძღვის. აგრეთვე, ვინ მოსთვლის, თუ რა შრომა გასწია თექვსმეტის წლის განმავლობაში ამავე სასწავლებლის კეთილდღეობისათვის! მისი შრომა და ღვაწლი სასულიერო სასწავლებლის წინაშე იმითაც მტკიცდება, რომ რაც სასწავლებელი სდგ. მარტვილიდგან ახალ-სენაკში იქმნა გადმოტანილი (22 წელიწადია), სასწავლებელს საკუთარი შენობა არა ჰქონია, რის გამოც სამღვდელოების ყოველ კრებაზედ ხშირად ჩამოვარდებოდა ბაასი სასწავლებლის სენაკიდგან სხვა ადგილას გადატანაზედ. რომ სამღვდელოების ამისთანა მსჯელობას ბოლო მოჰღებოდა, იგი სცდილობდა სასწავლებელს საკუთარი შენობა ჰქონოდა. სამღვდელოებას ურჩია სასწავლებლისათვის საკუთარის შენობის შეძენა და [illegible] შარშან საკუთარი შენობა შეიძინა. [illegible] სასწავლებლის შენობის შეძენისათვის დიდი შრომა, დიდი ტანჯვა გამოიარა და ბოლოს მაინც ეღირსა ამ თავის სურვილის განხორციელებას.

სამეგრელოს სამღვდელოებამ, როცა გაიგო მ. არქიმანდრიტის გადაყვანა სენაკიდგან, გაუმართა გამოსათხოვარი სადილი, რომელზედაც წარმოითქვა ბევრი გრძნობით სავსე სიტყვები მ. არქიმანდრიტის მიმართ. სხვათა-შორის, სენაკის ვაჭრებმაც ცალკე გაუმართეს სადილი ბ-ნ მაზრის უფროსის რეზნიკოვისა და სხვა პატივცემულ კაცთა თანადასწრებით. ცალკე სადილი გაუმართეს აგრეთვე მისმა თანამოსამსახურეებმა. გამოთხოვების დროს ყველა მისნი მოსწავლენი მამა-შვილურის სიყვარულით დაარიგა და ყველას ჯვრები დაურიგა. მოსწავლეებმა თავიანთ მხრივ ხატი მიართვეს. ერთმა მოსწავლემ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა და დაახასიათა არქიმანდრიტ გიორგის მოღვაწეობა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში. არქიმანდრიტი გიორგი ითვლებოდა საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს წევრად, წევრად სასულიერო სასწავლებლის შენობის შესაძენად არჩეულ კომიტეტისა და თეკლათის დედათა მონასტრის საქალებო სკოლის შენობის აღმაშენებელ კომიტეტის თავმჯდომარედ. მისის მეცადინეობის წყალობით დღეს ამ სკოლას აქვს ძვირფასი (20 ათას მან. მეტად ღირებული) ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა. ერთი სიტყვით, მის მხნეობას, თავ-გამოდებით შრომას და ენერგიას საზღვარი არა ჰქონდა. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს დიდიდგან პატარამდე ყველა სწუხს მის გადაყვანას....

ტრიფონ კალანდარიშვილი.

—

**ახალ-სენაკი.** ჩვენის ახალის მაზრის უფროსის ბ-ნის რეზნიკოვის თაოსნობით ჩვენმა დაბამ ჯერ-ჯერობით დადგა უმთავრეს ქუჩებში 3 ელექტრონ-ბენზინის ახალის სისტემის ფარანი. თითოეულს ფარანს 1000 სანთლის სინათლე აქვს. ეხლა კიდევ ჰსურთ 3 ამგვარივე ფარანი შეიძინონ.

აქაური ეგრედ წოდებული „ბულვარი“ (ბაღი), თუმცა ეს მესამე წელიწადია, რაც გააკეთეს, მაგრამ უყურადღებოდ იყო მიგდებული, ახლა მაზრის უფროსმა დაბას სთხოვა იმისი ირგვლივ შემოღობვა და ზოგიერთ ადგილებში სკამების დადგმა. დაბამ თავის მხრივ სურვილი გამოაცხადა და ღობის შემოვლება უკვე დაიწყეს. ჩვენს დაბას მარტო ეს ბაღი აქვს, რომ სიცხე-პაპანაქებაში კაცმა ჩრდილს თავი შეაფაროს და სუფთა ჰაერი ჩაყლაპოს და იმისი უყურადღებობა სწორედ უდიერობა იქნებოდა. სასურველია აგრეთვე, რომ მეტი სხვა-და-სხვა ხეები იყოს ამ ბაღში დარგული.

მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ფარნაოზ მხეიძის და მაზრის უფროსის ბ-ნ რეზნიკოვის მეცადინეობით აქაურ ახალ ეკკლესიის აშენება ისევ განგრძობილ იქმნა. ამ ჟამად გაცხა-

---

სამსახურის მომეტებულს ნაწილს დიდებულს უწევდნენ.

ამნაირად ერთის მხრივ მიწის მფლობელობა, მეორე მხრივ მეფისსამსახური ჰქმნიდა საქართველოს მაშინდელს სოციალს წესწყობილებას. მეფე იყო ბატონი, სხვები იყვნენ მისი ყმები. უწარჩინებულესი მეფის ყმები იყვნენ დიდებულები, რომელთაც ეჭირათ მამული და დაქვემდებარებული ჰყავდათ ამ მამულის მოსარგებლე გლეხები და აზნაურები, რომელნიც ან მეფეს ექვემდებარებოდნენ პირდაპირ, ან რომელსამე დიდებულს. ერთსაც და მეორე შემთხვევაშიაც აზნაურებს ექვემდებარებოდნენ გლეხები, რომელნიც მათ მამულზედ სცხოვრებდნენ. ბოლოს იყვნენ გლეხები, რომელნიც სცხოვრებდნენ ან პირდაპირ მეფის მამულზე, ან პირდაპირ დიდებულისაზე, ან აზნაურისაზე, რომელიც თავის მხრივ ან პირდაპირ მეფის ყმა იყო, ან დიდებულისა. ამიტომ გლეხი იყო ოთხნაირი: 1, პირდაპირ მეფის ყმა, 2, სამეფო აზნაურის ყმა, 3, დიდებულის ყმა და 4, დიდებულის აზნაურის ყმა. აზნაური ორნაირი იყო: 1, პირდაპირ მეფის ყმა და 2, დიდებულის ყმა. დიდებული პირდაპირ მეფის ყმად ითვლება. ხოლო ყველანი საერთოდ მეფის ყმებად იწოდებოდნენ.

დიდებულის ვალდებულება მეფის წინაშე მდგომარეობდა იმაში, რომ მას მეფის ბრძანებისამებრ უნდა მოეკრიბა თავის საყმოში ჯარი აზნაურთა და გლეხთაგან და გამოსულიყო სალაშქროდ. ასეთივე ვალდებულება აწვა მეფის აზნაურს. დიდებულის აზნაური-კი დიდებულის მოთხოვნილებისამებრ უნდა გამოსულიყო თავის გლეხებით დიდებულის დროშის ქვეშ საბრძოლველად. მეფის ყმა გლეხები ვალდებულნი იყვნენ, როგორც პირადის სალაშქრო სამსახურით, ისე ხარჯის ძლევით და ბეგარის გადახდით. დიდებულის გლეხი მოვალე იყო დიდებულისთვის ეძლია ხარჯი, ეწია ბეგარა და გასულიყო სალაშქროდ მის მოთხოვნისამებრ. აზნაურის გლეხიც მოვალე იყო ეძლია მისთვის ხარჯი, ეწია ბეგარა და გაჰყოლოდა სალაშქროდ მას. დიდებულის გლეხები, ისე როგორც აზნაურისა, პირდაპირის ბატონის სამსახურის გარდა, მოვალენი იყვნენ ზოგიერთი ხარჯი და ბეგარა ეხადათ მეფისთვისაც. ხოლო დიდებულის აზნაურის გლეხები, სამეფო სამსახურისა და ბეგრის გადახდის გარდა, სამსახურს უწევდნენ აგრეთვე დიდებულსაც.

ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა სასულიერო უწყებაში. კათოლიკოზს და მცხეთის ეკკლესიას ჰქონდა დიდი მამულები, რომელზედაც მოსახლეობდნენ გლეხები და აზნაურები. პირველს შემთხვევაში გლეხები და აზნაურები ითვლებოდნენ საკათალიკოზო ან მცხეთის ყმებად, მეორე შემთხვევაში ისინი იწოდებოდნენ სამონასტრო ყმებად. მათი დამოკიდებულება კათოლიკოზისა და მონასტრებისაგან ისეთივე იყო, როგორც დიდებულისა და აზნაურისაგან.

მეფეს შეეძლო, თუ საჭიროდ დაინახავდა საერთო სარგებლობისათვის ან დასასჯელად, წაერთმია მამული დიდებულისთვის ან სამეფო აზნაურისთვის ზედ-მოსახლე გლეხითურთ და მიეცა ან სხვა დიდებულისა და აზნაურისათვის, ან ეკკლესიისათვის. თუ მეფე უდანაშაულოდ ართმევდა დიდებულს აზნაურს, ჩვეულებრივ სხვაფრივ აკმაყოფილებდა მას ახალის მამულის მიცემით სამაგიეროდ.

დიდებულებს და აზნაურებს შეეძლოთ თავიანთ მამულის გაყიდვა ან გაჩუქება, მაგრამ ყოველთვის მეფის თანხმობა უნდა აეღოთ.

მოქალაქეები ექვემდებარებოდნენ ან პირდაპირ მეფეს ან რომელსამე გამოჩენილს დიდებულს, რომელთაც აძლევდნენ ისინი ხარჯს და სალაშქრო სამსახურს უწევდნენ.

### III

**სამოქალაქო და სამხედრო წეს-წყობილება.**

მეფედ ხდებოდა ჩვეულებრივ მეფის უფროსი ვაჟი შვილი, რომელსაც მეფე თავისსავე სიცოცხლეში აცხადებდა მეფედ ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მემკვიდრედ. ასე მოიქცა გიორგი II დავით აღმაშენებელის შესახებ, დავით აღმაშენებელი დიმიტრის შესახებ, გიორგი III თამარის შესახებ და თამარი გიორგი ლაშას შესახებ. მხოლოდ რაიმე გარემოება უნდა ყოფილიყო, რომ მამას ტახტი გამოეწირა თავის უფროსის ვაჟისთვის და მიეცა შემდეგისთვის. ასეთი შემთხვევა მოხდა დიმიტრის მეფობაში, როდესაც დიმიტრიმ უპირატესობა მიანიჭა გიორგის და ამით უფროსი შვილი დავითი ძალიან გაანაწყენა, რამაც გამოიწვია რევოლიუცია, რომლის შედეგი იყო დიმიტრის გადადგომა და დავითის გამეფება. თუ საკუთარი ვაჟი და მახლობელი ნათესავი ვაჟი არ ეყოლებოდა მეფეს, მეფობა გადადიოდა ქალიშვილზე. თავის სიცოცხლეში მეფედ გამოცხადებულს შვილს მეფე ადგამდა გვირგვინს და უსრულებდა ცერემონიას დიდებულთა თანადასწრებით. ისიც მამასთან ერთად იწოდებოდა მეფედ, მაგრამ ნამდვილად-კი არ მეფობდა. მხოლოდ ხანდახან მოხდებოდა, რომ მამა სიცოცხლეშივე სტოვებდა მეფობას და შვილი ხდებოდა სრულ მეფედ, როგორც მოიქცა გიორგი II, რომელმაც 1089 წ. მეფობაზე ხელი აიღო და დავითს ჩააბარა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ასეთი ხელის აღება მეფობაზე უფრო ძალდატანებითი უნდა ყოფილიყო, როგორც ცხადათ ჩანს დიმიტრის მაგალითიდგან.

მეფედ შვილის გამოცხადება მამისავე სიცოცხლეში უდრიდა მემკვიდრის დანიშვნას, რომელიც ახლანდელს დროშია მიღებული. ამნაირად წინდაწინვე მეფედ დანიშნული ადვილად და დაუბრკოლებლად იჭერდა მამის სიკვდილის შემდეგ ტახტსა. ამ ნამდვილს გამეფებას მეფე იხდიდა დიდის ამბით და ცერემონიით. იკრიბებოდნენ დიდებულები სამეფოს ყველა კუთხიდგან, თავს იყრიდა ჯარი, შემდგარი აზნაურთა და გლეხთაგან და მათ წინ ხდებოდა დაგვირგვინება და ტახტზედ ასვლა. მთავარ-ეპისკოპოსი ადგამდა მეფეს თავზე გვირგვინს, დიდებულები აცმევდნენ პორფირს, ზეზს, ფესვედს და ბისონს, არტყამდნენ ხმალს, აძლევდნენ ხელში სკიპტრას. ამის შემდეგ მეფე ადიოდა ტახტზე და ამბობდა სიტყვას. ამ შემთხვევისა გამო იმართებოდა დიდი ნადიმი და მეფის ხაზინიდგან აძლევდნენ საჩუქრებს და მოწყალებას.

მეფე ხშირად იწოდებოდა შვიდთა სამეფოთა მეფედ და მისი სამეფო შვიდ სამეფოთაგან შემდგარად, რის გამოც მეფე იხსენიებოდა მეფეთა-მეფეთ. ეს ტიტული ნამდვილის გამომთქმელი არ იყო. ის იყო გადმოღებული არაბთაგან, რომელთა ხალიფის საბრძანებელი ითვლებოდა შვიდთა სამეფოთაგან შემდგარად და ხალიფის ტიტულიც იყო შვიდთა სამეფოთა მბრძანებელი *).

მართალია, მეფე ითვლებოდა უმაღლესს გამგებლად ქვეყნისა, მაგრამ ის არ იყო ერთად-ერთი გადამწყვეტი საქმისა და განუსაზღვრელის უფლების მქონი. დიდებულთა დაუკითხავად და მოუწონებლად ნაბიჯს არ გადასდგამდა. რა საქმეც უნდა ყოფილიყო, თუ რამე სამეფოსათვის მნიშვნელობა ჰქონდა, დიდებულების ყრილობა უნდა გაემართა და იმათთვის ეკითხნა, მოესმინა მათი აზრი და შემდეგ მიეღო უმეტესობის აზრი, თუმცა ხანდა-ხან უმცირესობის აზრსაც არჩევდა და თავის პასუხის გების ქვეშ იქცეოდა. მაგრამ ეს ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე. ხელისუფლებსაც-კი მეფე დიდებულთა რჩევით ნიშნავდა და თვით ლაშქრობის დროსაც მეფეს, როგორც უმთავრესს ჯარის წინამძღოლს, დიდებულები ჰყავდა მრჩევლებად.

სახელმწიფო საქმეების სამართავად მეფეს ჰყავდა ხელისუფლები. ყველაზე დიდი ხელისუფალი იყო ამირ-სპასალარი, შემდეგ მსახურთუხუცესი, მას მოსდევდნენ მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი, მდივანი, მეჯინიბეთუხუცესი და სხ. ამათ ებარათ მთელის სამეფოს საერთო საქმეები და მეფის მახლობელნი და მუდამ თანამხლებნი იყვნენ. სამეფო გაყოფილი იყო საერისთავოებად და ყველა საერისთავოში თვითო ერისთავი იჯდა, რომელიც მეფის მოადგილე იყო. საერისთავოები იყო: ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა, რაჭა-თაკვერისა, სვანეთისა, გურიისა, ეგრისისა, აფხაზეთისა, სამცხისა, კლარჯეთისა. ტფილისში იყო განსაკუთრებული მოხელე ქალაქისა და მის არე-მარის მმართველად, რომელსაც ერქვა ტფილისისა და ქართლის ამირა. ეს ტიტული იყო ნაშთი არაბთა მფლობლობის დროისა, როდესაც ტფილისს მართავდა ხალიფის სახელით ამირა **).

სამხედრო წესიერება საკმაოდ განვითარებული იყო მეთორმეტე საუკუნეში. ყოველი ქართველი, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო, მოვალე იყო საომრად გამოსულიყო და მეომრად გადაქცეულიყო. მეომრები შეადგენდენ სპასა ანუ ლაშქარს. ლაშქარი გაყოფილი იყო რაზმებად, რომელთაც ჰყავდათ უფროსნი—სპასპეტები. ჯარის ნაწილის უფროსი იწოდებოდა სპასალარად. ხოლო მთავარ-უფროსი მთელის საქართველოს ჯარისა ამირ-სპასალარად.

ქართველთა გარდა ჯარი სდგებოდა უცხოთაგანაც, რომელნიც მოწვეულ იქნებოდნენ ხოლმე ჯამაგირით, მაგ. ოსები, ყივჩაყები, ვარანგები და ტყვეებად წამოყვანილთ და გაქრისტიანებულ მუსულმანთაგან. უკანასკნელთაგან შემდგარი ჯარი იწოდებოდა მონასპად.

გალაშქრების დროს ჯარს თან მისდევდა სპასალარისა და სპასპეტის გარდა ეპისკოპოზი ჰქონდიდელი და ჯვარის მტვირთველი. ის ჯარი, რომელიც მეფეს ახლდა და იცავდა მას, იწოდებოდა ტაძრეულთა ჯარად. ჯარი, რომელსაც აყენებდენ ციხეებში დასაცველად, იწოდებოდა ციხოვანად. ციხის უფროსს ერქვა ციხის პატრონი. ომის დაწყების წინად ჯარს აწყობდენ ამნაირად: წინამბრძოლად აყენებდენ სამხრეთის საქართველოს მკვიდრთ, მემარჯვენედ იმიერ-საქართველოს მკვიდრთ და მემარცხენედ ამიერ-საქართველოს მკვიდრთ. ჯარი ორნაირი იყო: ცხენოსანი და ქვეითი.

იარაღი ჰქონდათ ქართველებს: ფარი, მახვილი, წათი, ხრმალი, ოროლი, შვილდ-ისარი, შუბი და ლახვარი. სამხედრო ჩაცმულობა ჯაჭვი ღ მუზარადი. საომარი მოწყობილობა იყო ფილაკავანი, მოსაგერებელი—სხარტი და ხანდაკი.

---

*) Malcolm, t. I, p. 61.

**) ეს ტიტული იყო ნაშთი არაბთა მფლობელობის დროისა, როდესაც ტფილისს მართავდა ხალიფის სახელით ამირა.

რებული მუშაობაა. უნდათ როგორმე ამ ზაფხულში დაამთავრონ ეკკლესიის აშენება.

დაიწყო აბრეშუმის პარკის ყიდვა. მყიდველი პარკისა ისევ ახალ-სენაკელი ბერძნები და მათი აგენტებია. მართალია, ჩვენიანებიც-კი ყიდულობენ, მაგრამ ესენი ისევ ბერძნებს აძლევენ. ჯერ-ჯერობით გარეშე პირი არავინ მოსულა, რომ ამ ვაჭსატონებს პარკის ყიდვაში ოდნავ მაინც კონკურენცია გაუწიოს. ამიტომაც არის, რომ ფასების რაოდენობა მათ ქეიფზეა დამოკიდებული. ამ ბოლოს წლებში, როგორც უკვე მოგეხსენებათ, თითქმის უპირველეს წყაროს ცაედარა აბრეშუმი ხალხის ცხოვრებაში. სწორედ „ცეცხლში ნავთის" დასხმა იქნება, თუ მშრომელმა თავისი ნაოფლარი არ აიღო... დღეს პირველი ხარისხის უმი პარკი ფუთი იყიდება 12 მანეთად და ისიც დიდის ვედრების შემდეგ...

—

**სამეგრელო.** სამეგრელოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში მოწაფეების წლიური გამოცდა 1 ივნისიდან დაიწყო. გამოცდას ესწრებიან: გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი თ. ჟორდანია, მაზრის განყოფილების დეკანოზი კაპ. გაჭერელია, სამეგრელოს სასულიერო სასწავ. ზედამხედველ-მასწავლებელნი, ადგილობრივი ბლაღ. დეკანოზები და სხ; ეგზამენები თითქმის 20 ივნისამდე გასტანს...

— წელს მთელს სამეგრელოში აბრეშუმის მოსავალი, წარსულ წლებთან შედარებით, გვარიანია, ვისაც სადი თესლი შეჰხვდა. ივნისი დიდი სიცხეებით დადგა. დროზედ წვიმებია. ნაადრევი ჯეჯილი მშვენიერი სანახავია, უფრო სიმინდები. ადესის ვაზსაც ჯერ-ჯერობით კარგად ასხია. ქურდობა და ავ-კაცობა აქა-იქ ხშირი მოვლენაა ხოლმე...

ტელეფონი.

—

## ახალნი წევრნი ქუთაისის სათ.-აზნაურო. ბანკის განახლებულის ზედამხედველის კომიტეტისა

(ამორჩეულნი რწმუნებულთა კრებაზედ ივნისის 5-ს)

(დასასრული *)

**ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი** უხუცესი თანამშრომელთაგანია ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა. მისი პირველ წერილთაგანი, 1881 წ. „ივერია"-ში დაბეჭდილი, მიმართული იყო წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიის ეხლანდელის წინამძღოლის თ-დის ს. ნ. ლორთქიფანიძის წერილებისა; ლორთქიფანიძე არკვევდა იმ საგანს, თუ როდის უნდა შეუდგეს იდეების გავრცელებას წერითა და საქმით უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობა? რამდენადაც მახსოვს, ბ-ნი ალ. ნანეიშვილი სრულიად სხვა შეხედულობისა იყო, ვიდრე თ-დი ს. ნ. ლორთქიფანიძე.

*) იხილე „ივერია" № 118—120.

1882—1883 წ. იგი კასსირად იყო ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში. ამ უკანასკნელს წელს-კი თვისდა უნებურად იმოგზაურა რუსეთის შორეულს გუბერნიებში, რასაც მოანდომა რამდენიმე წელიწადი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუდმივ თანამშრომლად შევიდა „ივერიის" რედაქციაში, სადაც დაჰყო სამიოდე წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში იშვიათად გამოსულა „ივერიის" ნომერი ისე, რომ მისი ან მეთაური ან სხვა რამ წერილი არ ყოფილიყოს.

1890-დგან 1897-მდე მსახურებდა ქუთაისში სააზნაურო ბანკის დამფასებელ კომისიის ჯერ წევრად და მერე თავმჯდომარედ. 1897 წელს-კი იგი აღარ ამოირჩიეს ამ თანამდებობაზე, რადგანაც იმ წელს ბანკში გამეფებულმა უკუღმართმა ძალამ მიაღწია უმაღლესს წერტილს თავისს ძლიერებისას, ბანკში აღარ ინდობდა არავის მოწადმართეთაგანს და გარშემო თვისსა იკრებდა თავის „კენჭის ყუთ-შემომავალთ"...

ამავე ხანებში იგი ამორჩეულ იქმნა ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ, და თუმცა რამდენიმე წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე, მაგრამ ბანკში დამფასებლობის გამო სოფელ-მოგზაურობამ ისე შეუშალა ხელი, რომ გამომცემელ ამხანაგობას შესაფერი ღვაწლი მაინც და მაინც ვერ დასდო...

„მოამბის" გამოსვლის პირველ წლებში თანამშრომლობას უწევდა ამ ჟურნალს ქუთაისიდგან.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფასებელ კომისიიდგან გამოსვლისათანავე, 1897 წ. იგი ამორჩეულ იქმნა შავის-ქვის მრეწველთა საბჭოს მდივნად და დღემდე ამ თანამდებობაზედ მსახურებს.

ბოლოს დროს წერილებსა და კორესპონდენციებს სწერს „ნოვოე ობოზრენიე"-ში, უმთავრესად შავის ქვის მრეწველობის შესახებ.

თ. მაგმაძე.

# კავკასია

ინჟენერი კეტრიცი დაინიშნა შავი ზღვის ნაპირის რკინის გზის აღმშენებლად. ამასთანავე სამინისტრომ გადასდო 40,000 მან., რომლითაც უნდა ააგონ ეკატერინოდარში განსაკუთრებული შენობა, სადაც მოთავსებული იქნება რკინის გზის დროებითი სამმართველო („ცნ. ფ.").

—

**ბაქო.** უკანასკნელ ორს კვირაში პოლიციამ გაჰგზავნა სამშობლოში ასტრახნამდე გემებით 756 მუშა კაცი, რომელთაც არც სამუშაო ჰქონდათ და არც საღსარი ცხოვრებისა.

—

სამინისტრო მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ჰგზავნის მოხელეს შოშინს ყულფსა და კაღიზმანში, რათა გამოარკვიოს ეხლანდელი მდგომარეობა იქაურის მარილის მადნებისა და შეამოწმოს, რაც გაუკეთებია იქაურს იჯარადარს ხაზინასთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით მარილის უკეთ ამოსაღებად და შესანახად. ამას გარდა, შოშინს აქვს მინდობილი გამოარკვიოს შეიძლება თუ არა გაფართოვდეს მადნები საჭირო რაოდენობის მამულის მიმატებით.

# რუსეთი

შემოდგომაზედ იხსნება პეტერბურგში, კერძო ინიციატივით, დედათა კურსები აღმოსავლეთის ენებისა («Нов. Обоз.»)

— „Нов. Обоз."-ეს სიტყვით, დეკემბერში მოწვეულ იქმნება პეტერბურგში სამაგალითო მეურნეობის მოღვაწეთა მეორე კრება.

— გაზეთები იტყობინებიან, რომ საერო განათლების სამინისტროში აძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ მიეცეს ნივთიერი დახმარება საბუნების-მეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებს, რათა იმათ შეეძლოთ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში მოგზაურობა საგეოგრაფო და საეთნოგრაფო მიზნით.

— გაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამხლვევ განყოფილებაში ამ ჟამად იხილავენ მოხსენებას ცეცხლის გაჩენის შემთხვევების შესამცირებელ საშუალებათა შესახებ; სხვათა შორის, მოხსენებაში ნათქვამია, გადათვალიერებულ იქმნენ კანონები ცეცხლის გაჩენისა და მასთან გაუფრთხილებლობის შესახებ.

— 15 ივნისს მოსკოვში ექმნებათ ბჭობა წვრილ-ფეხისა და კვერცხების ვაჭრებს. უნდა მოილაპარაკონ, როგორ მოეწყოს ამ საქონლის გზავნა საზღვარ-გარედ.

— მიტროპოლიტი ანტონი წყლებზედ ყოფნის შემდეგ ყირიმშიაც წავა და გურზუფში იცხოვრებს.

— 1 ივნისიდგან დაიწყებს მოქმედებას ნოვოროსიის საჰიგიენო სადგური ზღვაში ბანაობით და ზღვის ჰაერით მკურნალობისა.

# უცხოეთი

**ჰოლანდია.** ამსტერდამიდგანა სწერენ გერმანულ გაზეთებს, რომ არც პრეზიდენტ კრიუგერსა და არც მასთან მყოფ დეპუტაციას ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობა არ მიუღია ზავის პირობათა შესახებ და ეს გარემოება კარგს არას მოასწავებსო. თუ მართლა ბურები ისე კმაყოფილნი არიან და შერიგების სურვილს იჩენენ, როგორც გაზეთები იტყობინებიან, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ბურები სიხარულით შეატყობინებდნენ თავის კმაყოფილებას დიდად პატივცემულ პრეზიდენტს. ინგლისს, რასაკვირველია, ისე არ იამებოდარა, როგორც ის, რომ ბურებს განეცხადებინათ, ჩვენ გაინგლისელება გვწადიან და გვიხარიანო. რით აიხსნება ბურების ასეთი დუმილი, რატომ არას ატყობინებენ ევროპაში მყოფ თავიანთ წარმომადგენლებს? ჰოლანდიაში სწამთ, რომ ევროპას სინამდვილის შეტყობა მხოლოდ მაშინ შეეძლება, როცა კაბელს (ზღვაში გაყვანილი ტელეგრაფის მავთული) გაანთავისუფლებენო (რასაკვირველია, ინგლისელები!). 1877 წელსაც ხომ გვარწმუნებდნენ, რომ ბურებს სულითა და გულით ჰსურთ ინგლისელებთან შეერთებაო! შემდეგში-კი დავინახეთ ამ სიტყვების სიმართლე.

**ავსტრ-უნგრეთი.** კერბერის ახალგაზრდა-ჩეხებთან უკანასკნელ მოლაპარაკებას ის შედეგი მოჰყვა, რომ რეიხსრატის უკანასკნელ სხდომაზედ თავისუფალი მსჯელობა ჰქონდათ რკინის გზის ბილეთებზე ბაჟის დადების შესახებ.

— პოლონელმა მხატვარმა, კოსსაკმა, ავსტრო-პოლონურ გაზეთებში განაცხადა, რომ მე მარიენბურგის დღესასწაულებზე დასასწრებლად იმპერატორ ვილჰელმ II-ის დაპატიჟებით არ ვისარგებლეო და ეხლა სულაც ვტოვებ ბერლინსაო.

**საფრანგეთი.** ნაციონალისტთა გაზეთები სცდილობენ ვალდე-ბიულოს ისტორიის გაზვიადებას; „Libre Parole"-ი ირწმუნება, ვითომც საგენერლო პროკურორს—ბიულოს—თავის მეგობრებისათვის განეცხადებიოს, რომ იუსტიციის მინისტრი ვალდე მის სამსახურიდგან დათხოვას ვერ გაჰბედავს; წინააღმდეგ შემთხვევაში მე გავამჟღავნებ, რომ ვალდე, როცა ადვოკატად იყო, ჩემთან მოვიდა და მარწმუნებდა მისი კლიენტის—კატოის საქმე მომესპოო. შემდეგ ამისა, ვითომც ბიულოსა და ვალდეს შორის ასეთი შეთანხმება მომხდარიყოს: პირველი შეჰპირდა კატოის საქმის მოსპობას, მეორემ-კი აღუთქვა, არაოდეს აღარა გდევნიო.

— უახლოებელეს მორიგ კრებაზედ სენატში განხილულ იქმნება საკითხი სამხედრო სამსახურის ორი წლის ვადის შესახებ.

— ნაციონალისტები ჯერ კიდევ ვერ დაშოშმინდნენ ჟორესის სიტყვის გამო იარაღის აყრის შესახებ. „Eclair"-ი სცდილობს ქვეყანას დაანახვოს, ვითომც ჟორესი მარტო საფრანგეთს ურჩევდეს იარაღის აყრას. დერულედმა დეპეშით მიჰმართა პატრიოტთა ლიგას, რომლითაც წინადადებას აძლევდა მათ, რომ გამბეტას საფლავი გვირგვინით შევამკოთ ჩვენის პატრიოტულის გულის წყრომის ნიშნად ჟორესის სიტყვის გამოო. ლიგამაც შეისმინა დერულედის რჩევა და გამბეტას საფლავი შეამკო გვირგვინით, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო: „პატრიოტთა ლიგისაგან უკვდავ მოწინააღმდეგეს".

— მინისტრ-პრეზიდენტმა განკარგულება მოახდინა, რომ ზემო-გარონის დეპარტამენტის ათს მღვდელს ჯამაგირები დაუჭირონ, რადგან არჩევნებში მიუღიათ მონაწილეობა.

**სამხრეთ-აფრიკა.** ჰავასის სააგენტოს სიტყვით, როცა ბურები, ფიცის მიღების შემდეგ, შევიდნენ ვინბურგის ბანაკში, სადაც მათი ქალები და ბავშვები იყვნენ დატყვევებულნი, ტირილ-სიცილის აღმაშფოთებელი სურათები წარმოუდგა დამსწრეთ თვალ-წინ. ზოგი აღტაცებულის სიხარულით ეგებებოდა დიდის ხნით დაშორებულ ნათესავებს, ზოგმა კი პირველად გაიგეს თავის ქმრისა და შვილის, ან ახლო ნათესავების ბრძოლის ველზედ თავის დადება.

გენერალი დევეტი მაგიდაზედ შედგა და გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა მანდილოსნებს: „ჩვენაო—სთქვა დევეტმა,—ბევრად უფრო ადრე გვაიძულებდნენ ომზედ ხელის აღებას, რომ თქვენ არ გამოგეჩინათ თავგანწირულება და განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსადმი. ზნეობრივი დახმარება, რომელსაც თქვენ გვიწევდით, გვიათკეცებდა მხნეობას და მამულის დაცვის სურვილს. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ თუნდაც ყველანი ომის ველზე გავწყვეტილიყავით, თქვენ მაინც სამშობლოს ისეთსავე მამაც და უშიშარ შვილებს აღუზრდიდით, როგორც მათი მამები არიან, რომელნიც ეხლა თქვენთან ერთად იმყოფებიან. ჩვენ დღეს ახალი მთავრობა გვყავს—ინგლისი, ჩვენ ვიბრძოლეთ, მინამ ძალა შეგვწევდა, მაგრამ ბოლოს უილაჯობამ იარაღი დაგვაყრევინა. გიწვევთ ახალი მთავრობის ერთგულობაზე. უეჭველია, თქვენთვის სატანჯველია ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვები, რომ ეხლა ახალს მთავრობა გვყავს, მაგრამ ეს თვით უფალმა ინება! ორის წლისა და რვა თვის ომის შემდეგ ჩვენ იძულებულნი გავხდით ნაციონალური დამოუკიდებლობა უარგვეყო, ეხლა ღმერთი გვიბრძანებს, როგორც კეთილ ქრისტეანეთა, ერთგულად ვემსახუროთ ახალ მთავრობას. წრფელის გულით მადლობასა გწირავთ, ჩემო დანო, რომ სამშობლო განუსაზღვრელად გიყვარდათ და ჩვენი წმიდა საქმე გწამდათ. ეხლა-კი დავემორჩილოთ უფლის გარდაუწყვეტილებას: გთხოვთ ახალი მთავრობის ერთგულნი იყვნეთ ისე, როგორც ბურგერები და მე".

**გერმანია.** გერმანიის მეცადინეობის შესახებ გააძლიეროს თავისი პროტექტორატი აღმოსავლეთის კათოლიკეებზედ, საფრანგეთის ტრადიციონულ მთელს კათოლიკეებზედ გავლენის შესამცირებლად—რომიდგან დეპეშით ატყობინებენ 2 თიბათვის თარიღით გაზეთ

---

საომარი საკრავები იყო: სპილენძ-ჭური, ბუკი, ქოსი და წინწილი.

## IV

**სამღვდელოება, საეკკლესიო წეს-წყობილება. საეკკლესიო კრებანი.**

საქართველოს ეკკლესიის უფროსი იყო კათოლიკოსი ანუ პატრიარქი, რომელსაც ირჩევდა მეფე დიდებულების დაკითხვით მთავარ-ეპისკოპოზთაგან. თუმცა ის ემორჩილებოდა მეფეს, მაგრამ პატივი-კი მეფისა ჰქონდა მინიჭებული და დიდს მონაწილეობას იღებდა სამეფოს გამგეობაში დიდებულებთან ერთად. კათოლიკოზის შემდეგ იყვნენ მთავარ-ეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, რომელნიც მართავდნენ ცალკე მაზრებს, საეპისკოპოზოებად წოდებულებს. კათოლიკოზად და ეპისკოპოზებად ჩვეულებრივ დიდებულთაგანნი ხდებოდნენ. ეპისკოპოზებს მოსდევდნენ ქორეპისკოპოზები და წინამძღვრები მონასტრებისა. სულ ბოლოს იდგნენ ხუცესნი, მღვდელნი და დიაკონნი. ბერობაში ამათ უდრიდნენ მონაზონები და მეუდაბნოები. დიდი პატივი ჰქონდათ აგრეთვე ქორეპისკოპოზებს და წინამძღვრებს, რომელნიც აგრეთვე დიდებულთა და აზნაურთაგანნი იყვნენ. მაგრამ არც ხუცესნი და დიაკონნი იყვნენ დაჩაგრულნი, თუმცა ისინი მომეტებულად გლეხკაცთაგანნი იყვნენ. ისინი განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარის ხარჯისა და ბეგარისაგან.

ეპისკოპოზებს ეძლეოდათ სახელი იმ სოფლიდგან ან ქალაქიდგან, სადაც იყო მათი კათედრა. მაგ. ჭყონდიდელი (ჭყონდიდიდგან), ქუთათელი (ქუთაისიდგან), აწყვერელი (აწყვერიდგან), ალავერდელი (ალავერდიდგან), ბედიელი (ბედიიდგან), იყალთოელი (იყალთოდგან), ურბნელი (ურბნისიდგან), მროველი (რუისიდგან).

სასულიერო სამსახურის გარდა ეპისკოპოზები საერო გამგეობაშიაც იღებდნენ მონაწილეობას და ხშირად სამხედრო თანამდებობაც ჰქონდათ ხელში. ჭყონდიდელი მუდამ მეფის მახლობელი იყო და მწიგნობართ-უხუცესობას ასრულებდა. დიდებულთა რჩევაში დიდს მონაწილეობას იღებდნენ და ლაშქრობაშიაც, თუ თითონ არა წინამძღვრობდნენ, მეფესთან დასდევდნენ და რჩევას აძლევდნენ.

სამძიმო საეკლესიო საქმეების გადასაწყვეტად ხშირად მეფე და კათოლიკოზი მართავდნენ საეკლესიო კრებას, სადაც იღებდნენ მონაწილეობას კათოლიკოზი, ეპისკოპოზები, ქორეპისკოპოზები, წინამძღვრები, მონაზონები, ხუცესები და მეუდაბნოენი.

## V

**გონების განვითარება. მწერლობა. მონასტრების ღვაწლი საქართველოში და უცხოეთში. არაბების და სპარსების განათლების გავლენა.**

პოლიტიკურს განვითარებასთან მეთორმეტე საუკუნეში საქართველო განვითარდა გონებრივადაც. ეს განვითარება მზადდებოდა და ფეხს იდგამდა ადრიდგანვე, როდესაც გამრავლდა ქართველთა მონასტრები უცხოეთში, სადაც ბერები სთარგმნიდნენ ბერძნულიდგან, სირიულიდგან და სომხურიდგან, როგორც საღმრთო წერილის წიგნებს, ისე ყოველსავე საღვთისმეტყველო, საფილოსოფოსო და სამეცნიერო ნაწერებს.

ამგვარ მწერლობასთან ერთად ქართველები ბერძნულს ენაზედ ცნობილობდნენ აგრეთვე ძველის წარმართობის დროის მწერლობას და ეცნობოდნენ ბიზანტიის სამართალს, საზოგადო ცხოვრებას და ხელოვნებას—მხატვრობას, არქიტექტურას და სხვათა. ხოლო მეთორმეტე საუკუნის გაძლიერებულის სამეფოს მთავრობამ საგანგებო ყურადღება მიაქცია საბერძნეთის განათლების შეთვისებას და გადმოღებას საქართველოში. ამ აზრით დავით აღმაშენებელმა გაგზავნა საბერძნეთში 40 ყმაწვილი კაცი, რომელთაც შეისწავლეს საბერძნეთის მწერლობა, მეცნიერება და გადმოიტანეს საქართველოში. დავითის კვალს, უეჭველია, მისდევდნენ ამ საქმეში სხვა მეფეებიც და საბერძნეთში ყმაწვილის კაცების გზავნით ხელს უწყობდნენ ბიზანტიის განათლების გადმოტანას საქართველოში.

მეთორმეტე საუკუნეშიაც, როგორც წინადაც, მოღვაწეობდნენ უცხოეთში ქართველთაგან დაარსებული მონასტრები, სადაც ბერები განაგრძობდნენ თაიანთ შრომას და სთარგმნიდნენ თუ თავად ადგენდნენ და გადაწერით ავრცელებდნენ სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნებს. ამისთანა მოღვაწეობისათვის მეფენი უხვად სწირავდნენ ამ მონასტრებს და გასავითარებლადაც სწორედ იქა ჰგზავნიდნენ ყმაწვილს კაცებს.

უცხოეთში ამ საუკუნოებში იყვნენ შემდეგი ქართველთა მონასტრები: ათონისა, კონსტანტინოპოლისა (რომანასი), კვიპრისა, შავიმთისა (ანტიოქიაში), იერუსალიმისა, სინასი და სხ.

უცხო ქვეყნებში აშენებულის ქართველთა მონასტრების მზგავსად საქართველოს მონასტრებიც ირჯებოდნენ და მოღვაწეობდნენ, სკოლებს მართავდნენ და ზრდიდნენ ყმაწვილებს. თვით დავით აღმაშენებელმა განგებ დააარსა გელათის მონასტერი იმ აზრით, რომ გამხდარიყო ათონის მონასტრის მზგავსად განათლების გამავრცელებლად საქართველოში.

საბერძნეთისა და საქრისტიანო აზიის გარდა საქართველოს განვითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც წინა საუკუნეში ისე მეთორმეტეში, მაჰმადიანს აზიასაც—არაბებს და სპარსებს. საუკუნოებრივი კულტურული კავშირი სპარსეთთან, ცოტა ხნით შეწყვეტილი ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებში, არ შეიძლებოდა არ განახლებულიყო შემდეგში, თუმცა, რა თქმაა, მუდამ ეს კავშირი ქრისტიანობის კანტროლს ქვეშ იქნებოდა. მეთორმეტე საუკუნეში-კი მუსულმანთა ერთა კულტურა, მათი მეცნიერება და მწერლობა ისე ძლიერი შეიქნა, რომ ქართველები, თუმცა სულით და გულით ქრისტიანენი, მაინც არ ერიდებოდნენ და ეწაფებოდნენ მათაც. ამის მაგალითს გვაძლევს თვით გვირგვინოსანი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელიც არ ერიდებოდა და სწავლობდა ცნობის-მოყვარეობით მაჰმადიანთა საღვთო სჯულს—ყორანს. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები ამ საუკუნეშიაც და წინადაც სწავლობდნენ არაბულს და სპარსულს ენებს, ცნობილობდნენ მათ მწერლობას და მეცნიერებას და ეცნობოდნენ მათ ისტორიას და ცხოვრებას. ამის საბუთად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ როგორც ორიგინალი ისე თარგმანი თხზულებანი მეთორმეტე საუკუნისა: ვეფხვის-ტყაოსანი რუსთაველისა, აბდულ-მესია შავთელისა, თამარიანი ჩახრუხაძისა, ვისრამიანი, სარგის-თმოგველისა, ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა და სხვანი. პირველი სამი თხზულება, თუმცა ორიგინალნი თხზულებანი არიან, მაინც წარმოგვიდგენენ დიდს გავლენას არაბ-სპარსთა მწერლობისას და მეცნიერებისას. ხოლო დანარჩენნი ან თარგმნილნი არიან სპარსულიდგან ან გადმოკეთებულნი და ამნაირად მომასწავებელნი სპარსეთის მწერლობის გავლენისა.

ამნაირად ქართველთა განათლება და კულტურა მეთორმეტე საუკუნეში იყო ორის ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგის ელემენტის შეზავებულის გავლენის ქვეშ—ქრისტიანულისა და მუსულმანურისა.

## VI

**ეკონომიური მდგომარეობა.**

თუმცა ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს ქართველის ერის ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ მეთორმეტე საუკუნეში, მაინც შეგვიძლიან ვიქონიოთ საზოგადო წარმოდგენა მის შესახებ. ამ საუკუნის დამდეგს საქართველო ძალიან დავარდნილი იყო ნივთიერად 1080 წლიდგან მოკიდებულმა თურქთა გამუდმებულმა შემოსევამ რამდენისამე წლის განმავლობაში სულ აათორიაქა ერის სიმდიდრე და ცეცხლს მისცა სოფლები და ქალაქები, ტყეები, ვენახები და დათესილი ჭირნახული. თურქებმა დაანგრიეს ციხეები, სიმაგრეები, მონასტრები და საყდრები და მოიტაცეს, რაც-კი რამ ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ქვები და ჭურჭელ-იარაღი ნახეს. გაწყდა აუარებელი რიცხვი ქართველთა და, ვინც გადარჩა, დიდს სიღარიბეში იყო.

მეთორმეტე საუკუნეში-კი სრულებით სხვა სურათს წარმოგვიდგენს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა. მთელის ამ საუკუნის განმავლობაში ქართველს ერს მტრის შიში არა ჰქონია და ამიტომ იგი არხეინად და გულმოდგინედ შრომობდა. უმთავრესი შრომა-კი მიწის შემუშავება იყო. საქართველოს მადლიანი ნიადაგი კარგს ნაყოფს აძლევდა მშრომელს და ამიტომ ქართველს სარჩოც უხვად ჰქონდა. მშვიდობიანის შრომით ნაშოვნს სარჩოს ქართველობა უმატებდა ომიანობის დროს ნაშოვნს სიმდიდრეს. ქართველთა ყოველს გამარჯვებას თან დიდის ალაფის შოვნა მოსდევდა. ხოლო, როგორც შემდეგ დავინახავთ, მთელი ეს საუკუნე ქართველთათვის ურიცხვთა გამარჯვებათა ხანა იყო. ნაშოვნი ალაფი ამდიდრებდა ყველას: მეფის ხაზინას, დიდებულთ, აზნაურთ და გლეხთა. ეკონომიურად მოღონიერებულმა და სასოება-მიცემულმა ქართველობამ ააშენა სოფლები, ქალაქები, მონასტრები და საყდრები, გაიყვანა გზები და არხები. ვინც-კი გამრჯელი და მკლავ-მაგარი იყო, ყველას ჰქონდა სარჩო. ხოლო ვისაც რაიმე მიზეზით არ შეეძლო შრომა ან ომით სარჩოს შოვნა, უხვს მოწყალებას ღებულობდა მეფისა და დიდებულთაგან.

სიმდიდრის დატრიალების გამო აღებ-მიცემობაც განვითარდა. ეკონომიურად მოღონიერებამ გაამრავლა ქართველთა რიცხვი ისე, რომ მეცამეტე საუკუნის ნახევარში, მონგოლთა შემოსევის შემდეგ საქართველოში, მატიანის მოწმობით, 4,000,000 მკვიდრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თუ მაშინ ამდენი იყო, მეთორმეტე საუკუნის საქართველოს სამეფოში თუ 8 არა 6 მილიონი მაინც იქნებოდა. მაგრამ სიმდიდრის გავრცელებას კარგს მხარესთან ცუდი მხარეც ჰქონდა მაშინდელის ქართველებისთვის. წარჩინებული წოდება, ომიანობისაგან მოცლილი, მიეცა ფუფუნებას და განცხრომას, რომლის დამღუპველმა გავლენამ იჩინა თავი მეცამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველოს დაესხნენ მონგოლნი.

დ. კარიჭაშვილი

Temqs“-ს: სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ გერმანიას კარგა ხანია მოლაპარაკება აქვს იმ მცირე სახელმწიფოებთან, რომელთაც აღმოსავლეთში კათოლიკეთა მისსიები ჰყავთ, რომ მათი მისსიები თავის პროტექტორატს დაუქვემდებაროს.

ასეთი წინადადებით მან მიჰმართა ჰოლლანდიას, ბელგიას და ისპანიასაც-კი. გერმანია სისტემატიურად მისდევს ამ აზრის განხორციელებას, რომ საფრანგეთს ხელიდგან გამოჰგლიჯოს საუკუნოებით მოპოებული პროტექტორატი აღმოსავლეთში მყოფ კათოლიკეთა მისსიებზედ.

**ინგლისი.** ლისსაბონიდგან იტყობინებიან, რომ ინგლისს მოლაპარაკება აქვს პორტუგალიასთან, რათა უკანასკნელმა თავისი ახალშენი—მოზამბიკი დაუთმოს ინგლისს გრძელის ვადით, რაც ინგლისისათვის მეტად საჭიროა ტრანსვაალსა, ორანჟესა და როდეზიაში საფუძვლიანად დამკვიდრებისათვის.

**ესპანია.** მადრიდელი კორესპონდენტი ატყობინებს „Berliner Tageblatt“-ს, რომ მინისტრად ნამყოფი კანალეიასი ისპანიაში კლერიკალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მეთაურადა ხდებაო. ვალენსიაში მისს მისვლას მოჰყვა საშინილი ანტი-კლერიკალური დემონსტრაცია, რომელშიაც 13,000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა, თუმცა მოელოდნენ დიდს არეულობას, რისთვისაც გუბერნატორმა ჟანდარმთა რაზმი 600 კაცი მოიწვია ქალაქის დასაცველადაო.

ამას წინად კანალეიასმა მეტად ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა ალიკანტში კლერიკალების წინააღმდეგ, რომელმაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. ხმა დადის, რომ მთავრობა მეტად ჩააფიქრა ამ მოძრაობის სიძლიერემაო. რესპუბლიკელებმა განაცხადეს, რომ იგინი კანალეიასის გულისათვის თუნდ ცეცხლში ჩადგებიან, ოღონდ-კი მან რეაქციის წინააღმდეგ დროშა აღმართოსო.

# სხვა-და-სხვა წერილები

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონის მიწერილი წერილი თიანეთის მოურავ დიმიტრი როზაქისშვილთან.

ქ: უფლისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და აღავერდელი მიტროპოლიტი, მეფეს ძე ანტონი. თიანეთის მოურავო როზაქისშვილო დიმიტრი, დოცვით მოგიკითხავ. მერე ეს სუხიაშვილი ბახტრიონელი ჩვის, ჩემ სახლში მუდამნოელი თათრები სავაჭროთ მოვიდნენო, და იმ დამეს ფშავლებმა ერთი ცხენი და ერთი ძროხა მოჰპარეს ამ თათრებსაო. და ახლა ეს თათრები მე მთხოვნო, ის ქურდი შენ უნდა გვიპოვნოთ, შენ სახლში სტუმრათ მოვედითო. ახლა ჩვენ ამასა გწერთ, თუ ჩვენი სიყვარულობა გაქვს, გულს-მოდგინეთ, მოიქეც და ის ფშავლები, რომელთაც რომ ის ცხენი და ხარი მოუპარავს, ის უპოვნე და თავისი საქონელი გამოართვი. ეს ვიცით, თუ მოინდომე, შენ მალე იპოვნი იმ ქურდებს. ღვთის გულისათვის ეცადე, რომ უპოვნო და გამოურთო. ოკტომბრის დ. ქკს. უპდ. (1796 წ.) ანტონი *).

კოტე სეხნიაშვილი

## დიდად საჭირო საქმე

ქართულის ენის შესწავლა საფუძვლიანად შეუძლებელია, თუ არ შევისწავლეთ მისი კილოები, ე. ი. მეგრული, ჭანური და სვანური. ამ კილოების შესწავლა კიდევ შეუძლებელია, თუ არ გამოვცეით სახალხო სიტყვიერება, ზღაპრები, ლექსები, თქმულებანი და სხვ. ამ კილოებით დაწერილი. ფშაურის ქართულის ავ-კარგი არ გვეცოდინებოდა, ფშაური ლექსები რომ არ დაბეჭდილიყო. ამიტომ საჭიროა, ეგრისის (ოდიშის), ჭანეთის და სვანეთის შეგნებული შვილები შეუდგნენ ამ საქმეს და ჩასწერონ ქართული ასოებით ზღაპრები, თუ ლექსები ისე, როგორც თვით ხალხი ამბობს და თუ თვითონ ვერ მოახერხეს გამოცემა, გამოგზავნონ ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ჩემ სახელზე და მე ვეცდები მათ დაბეჭდვას, რასაკვირველია, ცალკ-ცალკე წიგნად—მეგრულის ცალკე, ჭანურის ცალკე და სვანურის კიდევ ცალკე. ეს საქმე თხოულობს დაუყოვნებლივ მზრუნველობას ჩვენის მხრივ და იმედია შეგნებული ახალთაობა ზემორე ხსენებულის ქვეყნებისა ხელს მოგვცემს და მის განხორციელებას შეგვაძლებინებს.

პეტრე მირიანაშვილი.

*) ეს წერილი მე სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში. ამ წერილში ხსენებულ სუხიაშვილის ჩამომავლობიდან დარჩომილ ობლების აპეკუნმა ქვრივმა დედაკაცმა მომიტანა მე გადასათვალიერებლად ძველის ძველად რუსულ-ქართულად დაწერილი ქაღალდების გროვა, ამ სუხიაშვილისაგანვე დატოვებული. ქაღალდები, რასაკვირველია, გადავიკითხე სულ, რაშიაც ბევრი უფრო გამოუსადეგარი და ვადა გასული ქაღალდები აღმოვაჩინე. სწორედ ეს ანტონ კათალიკოზის მინაწერი წერილი, რომელსაც ამ ჟამად გიგზავნით მაშინ ვიპოვნე.

ამ წერილში ხსენებული ბახტრიონელი (თონეთის მაზრა) სუხიაშვილი, როგორც გადმომცეს, დიდი შეძლების პატრონი ყოფილა თურმე. მას ყველაფერი მრავალი ჰქონია, რისთვისაც მასთან, როგორც წერილში იხსენიება, მიდიოდნენ საქონლის, ცხენების, ცხვრების და ყველის სასყიდლად მარტო მუღანლოელი თათრები-კი არა, არამედ სხვა შორი სოფლებიდგანაც. ეს ხსენებული სუხიაშვილი იმდენად შეძლებული და დიდი სარჩოს პატრონი ყოფილა, რომ არამც თუ ბახტრიონში, მთელ ზემო კახეთშიაც იმ ჟამად მისებრ შეძლებული გლეხი კაცი არა ყოფილა. ამ სუხიაშვილის ჩამომავლობიდგან დარჩომილია მხოლოდ ორი ყმაწვილი-და. ეს ყმაწვილები ამ ჟამად თელავის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობენ.

# თეატრი და ხელოვნება

პარასკევს, 7 ივნისს, აქაურს საზოგადო საკრებულო დარბაზში, ტფილისის ქართულმა დრამატიულმა დასმა, რომელსაც ბ-ნი ვ. გუნია მეთაურობს, წარმოდგენა გამართა. წარმოდგენილ იქმნა გუნიას-მიერ გადმოკეთებული „ძალა აღმართსა ხნავს“. მოთამაშეებმა, როგორც კაცებმა, ისე ქალებმა, რიგიანად და სინიდისიერად ჩაატარეს თავიანთი როლები. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო და ყველანი დიდი კმაყოფილნი დარჩნენ წარმოდგენისა. წარმოდგენას უფრო მაღალი საზოგადოება, ე. ი. ინტელიგენცია დაესწრო, ვიდრე დაბალი ხალხი. ალბად ეს უფრო იმიტომ, რომ უკანასკნელი ბილეთი 50 კაპ. ღირდა.

კარგი იქნებოდა დასი პეტრე-პავლობის დღესასწაულებში მოსულიყო წარმოდგენების გასამართავად, რადგანაც მაშინ აქ ბაზრობაიარმუკობა იმართება ათის დღის განმავლობაში. მაშინ აქ დიდ-ძალი ხალხი იყრის თავს, როგორც სამეგრელოდგან, ისე საქართველოს სხვა კუთხეებიდგანაც. თითონაც ხეირს ნახავდნენ და ქართულ წარმოდგენის ნახვის მწყურვალ ხალხსაც ასიამოვნებდნენ.

ტ. ირინაშვილი.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 ივნისი

**ვარშავა.** გაზ. „ვარშავის დღიურის“ სიტყვით, წარდგენილია დასამტკიცებლად პროექტი წესდებისა ვარშავის კავშირისათვის ტუბერკულოზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**სევასტოპოლი.** დღეს გაემართა პეტერბურგს დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ.

**კილი.** დღეს დილას იახტა „Зарница“ ხელმწიფე მემკვიდრითურთ და „Свѣтлана-ს“ თანხლებით შევიდა იმპერატორ ვილჰელმის არხის შესართავში.

**კიოლნი.** „კიოლნის გაზეთს“ აუწყებენ, იმპერატორმა შეიწყნარა თხოვნა მინისტრის ტილენისა სამსახურიდგან დათხოვნის შესახებაო. საზოგადო სამუშაოთა მინისტრად დაინიშნა გენერალი ბუდდე.

**ლონდონი.** ჩინეთის კრეისერი „კაიჩი“ აფეთქებამ გაანადგურა. დაიღუპა 150 კაცი, აფიცრები და ჯარის-კაცნი.

**ვლადიკავკავი.** გადაიდო 10,842,000 მანეთი, რომ ვლადიკავკავის გზას უფრო მეტის საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვა შეეძლოს.

**ლემანი.** ლუბე მივიდა საგიმნასტო საზოგადოების შეკრებაზედ. მერის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს პასუხად ლუბემ სთქვა: „გარეშე საქმეებში, როცა საქმე შეეხება ქვეყნის სახელსა და ღირსებას, დასებმა პრეზიდენტი არ უნდა გაჰრიონ თავიანთ დავიდარაბაში: იმათ კარგად იციან, რომ მე არ შემიძლიან, როცა ჩემს მოვალეობას ვასრულებ რესპუბლიკის წინაშე, აქეთ-იქით გადავუხვიო, მაგრამ მაინც ვსთხოვ თავიანთ პროგრამად დასახონ: ერთმანერთის შეწყნარება, გაერთიანება და მშვიდობის მყოფლობა.

11 ივნისი

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული მობრძანდა უავგუსტოესის შვილებითურთ.

**დრეზდენი.** საღამოს ცხრა საათზე იმპერატორ ვილჰელმისა, ავსტრიისა, მრავალ პრინცებისა და მაღალ წოდების პირთა თანადასწრებით დიდის ამბით დაკრძალეს მეფე ალბერტი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კრანბორნი აცხადებს, რომ ჯერ არავითარი შეთანხმება არ მიგვიღია ტიანძინის დროებით დაჭერის გათავების გამოო.

**ლონდონი.** ვინგორიდგან მობრძანდნენ მეფე-დედოფალი; აათ მიეგება დიდძალი ხალხი. გრაფი ვალდერზეე, რომელიც მეფემ მიიწვია, გვირგვინის კურთხევის დღესასწაულში მიიღებს მონაწილეობას. მის პატივ-საცემლად გუშინ რობერტსმა ნადიმი გაჰმართა. ვალდერზეემ წარმოსთქვა მეფის სადღეგრძელო, რომელიც ასე დაამთავრა: „ყველამ ვიცით, რაზომ ძნელი დაბრკოლება სძლია ინგლისის მხედრობამ სამხრეთ-აფრიკაში; ოფიცერთა და ჯარისკაცთა საოცარის თავგანწირულებით მიაღწიეს მიზანს“. რობერტსმა უპასუხა, რომ „ბრიტანიის მხედრობა გულითადს მადლობას გწირავთ ასეთის ქებით მოხსენებისათვისო“. ლონდონის გაზეთები გრძნობით სავსე კილოთი იმეორებენ ვალდერზეეს სიტყვას.

**ბერნი.** მოკავშირეთა საბჭომ გადასწყვიტა კიევში შვეიცარიის საკონსულო დააარსოს.

**მიტავა.** კურლიანდიის გუბერნატორი ვინდავას წავიდა, სადაც უნდა დაუხვდეს გზათა მინისტრს, რომელიც იქიდგან ავტომობილით ლიბავას გაემგზავრება.

**პეტერბურგი.** „Прав. Вѣст.“-ში გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი საერო განათლების სამინისტროს მმართველისა, ზენგერის სახელზედ: „გრიგოლ ედუარდის ძეო, დაგნიშნეთ-რა საერო განათლების სამინისტროს მმართველად, უაღრეს მოვალეობათა შორის მე მოგანდეთ შეგემუშავებინათ და სახელმწიფო საბჭოს საშუალებით წარმოგედგინათ ჩემგან დასამტკიცებლად საშუალო სკოლისა და უმაღლეს სასწავლებლების ცვლილების პროექტი. თქვენ ამ საქმის ასრულებისათვის გამოგეყენებინათ ის, რაც მე ვცან სასარგებლოდ თქვენს წინად ნამყოფ მინისტრების მოსაზრებაში, მე მოგეცით ნება ხელახლად გადაგეშინჯათ მათგან შედგენილი პროექტები, რომელიც საშუალ სკოლას შეეხება. გარდა ამისა საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო თქვენდა სახელმძღვანელოდ: უპირველეს ყოვლისა განვამტკიცებ ჩემს ბრძანებას, რომ სკოლაში მოზარდ ყრმათა განათლებასთან შეერთებული იყოს მათი აღზრდა სარწმუნოებისა, ტახტისა და სამშობლოს ერთგულობის აზრით, და ფიზიკურის განვითარებით შეაჩვიონ ახალგაზდობა სიყრმითვე წესიერებასა და მორჩილებას, სკოლა, რომლიდგანაც გამოდის ყმაწვილი მხოლოდ კურსის შესრულებით შეძენილის ცოდნით და რომელიც არ უნერგავს მას სარწმუნოებრივის და ზნეობრივის აღზრდით მოვალეობის გრძნობას, მორჩილებას და უფროსისადმი პატივის-ცემას—არამც თუ სასარგებლო, არამედ მავნებელია, ვინაიდგან აჩვევს მათ ყოველი საქმის დამღუპველს თვითნებობას და სიამაყეს. ჩემს მიერ აღნიშნულ მიზნის მისაღწევად საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ზრუნვას, რომ სატახტო და საგუბერნიო ქალაქებში თან-და-თან მოეწყოს საშუალო სასწავლებლებთან აღსაზდელი პანსიონები, რისთვისაც უნდა მოიწვიონ დიდის არჩევით საუკეთესო აღმზრდელნი და არამც და არამც არ იყვნენ მიღებულნი ისეთნი პირნი, რომელნიც არ იქნებიან მომზადებულნი ჩემგან აღნიშნულ საქმისათვის. ამასთანავე საჭიროთ მიმაჩნია შემუშავდეს საქმე მატერიალურ უზრუნველ ყოფისა ნმ პირთა, რომელნიც მოწვეულ იქნებიან სამოსწავლო და სააღმზრდელო სამსახურისათვის. სკოლის მოწყობის შესახებ ჩემი სურვილია, რომ იგი სამგვირი იყოს დამთავრებულის სწავლით, და საშუალო სკოლა უნივერსიტეტისათვის მოსამზადებელ კურსითა. რაც შეეხება უნივერსიტეტს, წარსულ წლების სამწუხარო გამოცდილების შემდეგ, მე მოველი სამოსწავლო ადმინისტრაციისა და პროფესორთაგან გულითადსა და წინდახედულ ყურადღებას მათდა სამზრუნველოდ მინდობილ ახალგაზდობის სულიერ ვითარებისათვის. ახსოვდეთ მათ, რომ ყოველ ეჭვისა, ბრძოლისა და გატაცების შემთხვევაში ახალგაზდობას აქვს სიმართლე ეძიოს და ჰპოვოს თავის ხელმძღვანელთაგან ის გამოცდილება, რწმენათა სიმტკიცე, რომელიც მას აკლია, და იმის შეგნება, რომ ერთის წუთის უაზრო გატაცებისაგან დამოკიდებულია ზოგჯერ მთელი სიცოცხლე კაცისა. მშობლიურს გულსა ჩემსა სასიხარულოდ დაურჩა შეტყობად, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ამ სამოსწავლო წლის დასასრულში თვითვე შეიგნო მოვალეობა თვისი და დაუბრუნდა სწავლასა და წესიერებას. მე მჯერა, რომ საზაფხულოდ დასვენების შემდეგ და დამშვიდებულის გულით თავის სინიდისში ჩახედვის შემდეგ, აგრეთვე მშობელთა და მოყვასთა ზედგავლენით მოსწავლე ახალგაზდობა შეისმენს ჩემს სიტყვას, რომელიც იწვევს მათ და ყველა ჩემს ქვეშევრდომთა შრომისა და კანონიერების საფარველ ქვეშ. არეულობას, შებღალველს მეცნიერებისა და უნივერსიტეტებისა, რომლითაც უწინ სამართლიანად მოჰქონდა თავი რუსეთს, და რომელიც ჰღუპავს სამშობლოსა და ჩემთვის ამდენ ძვირფას სიცოცხლით სავსე ახალგაზდობას, უნდა მოეღოს ბოლო ღვთისაგან ჩემად მონდობილ ხალხის სასიკეთოდ“. ნამდვილზე საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია „ნიკოლოზ“.

## პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,10 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96^7/_8$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $98^5/_8$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 468 წვ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 359 გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 289 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | $88^5/_8$ წვ. გაყ. |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | $89^3/_4$ გაყ. |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა | 4555 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 430 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 170 გაყ. |

## ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბაქო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბათუმი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბორჯომი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე) | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |


# განცხადება




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—13)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახ დაბეჭდილი წიგნი:

**ყოველის მხრიდან**

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

**მოთხრობანი**

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

## წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი-გამოცემული წიგნები:

| | |
|---|---|
| საუბაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსეს I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Туманов | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოელისა | „ 10 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | ,, 15 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ 50 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | ,, 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | ,, 30 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | ,, 5 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | ,, 3[illegible] |
| Або Тифлисскій, Е. К. | ,, [illegible] |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | ,, 60 |
| გიორგი და მიხეილი | ,, 10 |
| რ. აბაშიძისა | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა | ,, 40 |
| მუშათა კითხვა | 15 ,, |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყორჩოშვილისა | 1 ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა | ,, 40 |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ | ,, 20 |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | ,, 3[illegible] |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 ,, |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, 50 |
| დედა, ანდერსენისა | ,, 8 |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | ,, 30 |
| კუბიკები ქართულის ანბანისა | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა | ,, 50 |
| ევდოშვილისა | ,, 50 |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | ,, 20 |
| Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К. | ,, 10 |
| Давидъ Гареджели, Е. К. | ,, 15 |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | ,, 15 |
| ლენე, მოთხრობა | ,, 5 |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | ,, 40 |
| Назрѣвшій Е.ропов съ, К. | ,, 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | ,, 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ | ,, 3[illegible] |
| ამბავი მაღლის ქვისა | ,, 5 |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | ,, 1[illegible] |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. ,, 50 |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | ,, 40 |
| ბენია | ,, 1[illegible] |
| ბუნების სოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა | ,, 15 |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა | ,, 30 |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. | ,, 30 |
| გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ. | ,, 20 |
| აღმზრდელი, აკაკისა | ,, 5 |
| გასართობი | ,, 1[illegible] |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | ,, 15 |
| გუსტავ ვაზა | ,, 5 |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | ,, 30 |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი | ,, 25 |
| რამეს განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | ,, 40 |
| სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა | ,, 60 |
| აერო დღესასწაული | ,, 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | ,, 30 |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 3[illegible] |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | ,, 40 |
| თამარ-დედოფლის სამკაული | ,, 10 |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | ,, 50 |
| ისტორია ქართულ სტამბებისა | ,, 15 |
| იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა | ,, 40 |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნაწ. ქუთათელაძისა | ,, 60 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი | 1 ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა | ,, 30 |
| საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა | ,, 50 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა | ,, 20 |
| ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა | ,, 50 |


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.